385
1961/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს
უწყებები

№ 2 (215) 20 იანვარი 1961 წ.

შინაარსი

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებები და დადგენილებები

22. შეთანხმება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ერაყის რესპუბლიკას შორის ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ.
23. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საბჭოთა არმიის სამხედრო მოსამსახურეთა და თადარიგის სამხედრო ვალდებულთა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ.
24. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს „კიევმეტრომშენის“ მშენებლობის სამმართველოს ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
25. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს სახელმწიფო საპროექტო-საძიებო ინსტიტუტის „მეტროგიპროტრანსის“ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
26. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს „კიევმეტრომშენის“ მშენებლებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.
27. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სტალინოს ოლქის ტრესტ „ძერჟინსკქვანახშირის“ ძერჟინსკის სახელობის შახტის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
28. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ს. თ. რიხტერისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.
ცნობა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში დეპუტატების არჩევნების შესახებ.

საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

29. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქალაქ თბილისის ახალი საზღვრების დამტკიცების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებები და დადგენილებები

შეთანხმება

22 საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ერაყის რესპუბლიკას შორის ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა და ერაყის რესპუბლიკის მთავრობა,

ემყარებიან რა ორივე მხარეს შორის არსებულ მეგობრულ ურთიერთობას,

ისწრაფიან რა შემდგომში განავითარონ და განამტკიცონ ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობა, რომელიც დამყარებულია თანასწორობის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობის და ორივე ქვეყნის ეროვნული ღირსებისა და სუვერენიტეტის სრული პატივისცემის პრინციპებზე, ეკონომიური განვითარებისათვის ხელის შეწყობის მიზნით და ორივე ქვეყნის სურვილის შესაბამისად,

გამოთქვამენ თანხმობას განახორციელონ თანამშრომლობა ამ შეთანხმების 1 მუხლში აღნიშნული ობიექტების მშენებლობაში ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ საბჭოთა კავშირ-ერაყის 1959 წლის 16 მარტის შეთანხმების პირობებით,

და ამასთან დაკავშირებით შეთანხმდნენ ქვემომოყვანილზე:

მუხლი 1

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა თანახმაა გაადიდოს კრედიტი, რომელიც ერაყის რესპუბლიკის მთავრობას ეძლევა ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ერაყის რესპუბლიკას შორის 1959 წლის 16 მარტის შეთანხმების მე-5 მუხლის შესაბამისად 180 (ას ოთხმოცი) მილიონ მანეთამდე (მანეთისა და დინარის ოქროს შემცველობა რჩება, როგორც ფიქსირებულია 1959 წლის 16 მარტის შეთანხმებაში) აღნიშნული შეთანხმების პირობებით, საბჭოთა ორგანიზაციების მიერ შესრულებული საძიებო და საპროექტო სამუშაოების ასანაზღაურებლად, აგრეთვე საბჭოთა კავშირის მიერ ერაყის რესპუბლიკაში მიწოდებული იმ მოწყობილობის, რელსების, ლოკომოტივების, ვაგონებისა და სხვა საჭირო მასალების ასანაზღაურებლად, რომლებსაც ერაყის მხარე მოითხოვს პროექტების შესაბამისად და მხარეთა შეთანხმებით და რომლებიც არ შეიძლება გამოინახოს ერაყის რესპუბლიკაში და აუცილებელია შემდეგი ობიექტების მშენებლობისათვის:

ბაღდად — ბასრის რკინიგზის 1435 მმ ლიანდაგისათვის ნაცვლად ამჟამად არსებული ვიწროლიანდაგიანი რკინიგზისა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი რკინიგზის საჭიროებათა უზრუნველსაყოფად ბაღდადის რკინიგზის ცენტრალურ სახელოსნოებთან არსებული სამგზავრო და სატვირთო ვაგონების აწყობისა და შეკეთების და თბომავლების შეკეთების საამქროებისათვის და

აღნიშნული რკინიგზის მშენებლობისათვის საჭირო რკინაბეტონის შპალების წარმოების ქარხნისათვის.

მუხლი 2

შეთანხმების დამდები მხარეები შეთანხმდნენ, რომ საბჭოთა კავშირის და ერაყის კომპეტენტური ორგანიზაციები დადებენ ურთიერთ შორის კონტრაქტებს 1 მუხლში გათვალისწინებულ ობიექტებისათვის ტექნიკური დახმარების გაწევის შესახებ, იმ ვარაუდით, რომ ამ ობიექტების მშენებლობა განხორციელდება 1960—1964 წლებში.

კონტრაქტებში დადგენილ იქნა მიწოდების, აგრეთვე შეთანხმებულ დავალებათა საფუძველზე სამგზავრო და სატვირთო ვაგონების აწყობისა და შეკეთების და თბომავლების შეკეთებისა და რკინაბეტონის შპალების წარმოების ქარხნის დაპროექტების ვადები.

ეს შეთანხმება რატიფიცირებულ უნდა იქნას რაც შეიძლება მოკლე ვადაში და ძალაში შევა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის დღეს, რაც მოხდება მოსკოვში.

დადებულია ბაღდადში 1960 წლის 18 აგვისტოს ორ დედან ეგზემპლარად, თვითეული რუსულ და არაბულ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის რწმუნებით	**ერაყის რესპუბლიკის მთავრობის რწმუნებით**
პ. მალეტინი.	**ხ. ჯავადი**

* * *

რატიფიცირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1960 წლის 14 ოქტომბერს; ერაყის რესპუბლიკის უმაღლესი სახელმწიფო საბჭოს მიერ—1960 წლის 17 ოქტომბერს.

სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდა მოსკოვში 1961 წლის 9 იანვარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

23 საბჭოთა არმიის სამხედრო მოსამსახურეთა და თადარიგის სამხედრო ვალდებულთა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

სარდლობის დავალების შესრულებისათვის **დაჯილდოებულ იქნან:**

წითელი ვარსკვლავის ორდენით

1. მაიორი ნიკოლოზ პეტრეს ძე **ბალაბანოვი.**
2. ლეიტენანტი ვლადიმერ კონსტანტინეს ძე **ჟურავკოვი.**
3. უფროსი ლეიტენანტი ვლადიმერ ივანეს ძე **კოსტენკო.**

მედლით „მამაცობისათვის"

1. რიგითი ვიქტორ მიხეილის ძე **ჟევტიაკი.**
2. უმცროსი სერჟანტი ალექსი ევგენტეს ძე **კაპშიცკი.**
3. ივანე ვასილის ძე **მოზგოვი.**
4. რიგითი ვლადიმერ ვასილის ძე **ოვჩარენკო.**
5. რიგითი ვლადიმერ იაგორის ძე **ოსიპოვი.**
6. პეტრე ანდრიას ძე **ხარიტონოვი.**

მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის"

1. რიგითი ვიქტორ ბორისის ძე **დიომკინი.**
2. რიგითი სიმონ ივანეს ძე **ნოსოვი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 9 იანვარი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

24 სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს „კიევმეტრომშენის" მშენებლობის სამმართველოს ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

კიევის მეტროპოლიტენის აგების დროს მიღწეული წარმატებებისათვის სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს **„კიევმეტრომშენის" მშენებლობის სამმართველო** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 11 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

25 სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს სახელმწიფო საპროექტო-საძიებო ინსტიტუტის „მეტროგიპროტრანსის“ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

გვირაბ და მეტრომშენებლობის დაგეგმარებაში და საბჭოთა ტექნიკის განვითარებაში მიღწეული წარმატებებისათვის სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს **სახელმწიფო საპროექტო-საძიებო ინსტიტუტი „მეტროგიპროტრანსი“** დაჯილდოებულ იქნას **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 11 იანვარი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

26 სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს „კიევმეტრომშენის“ მშენებლებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

კიევის მეტროპოლიტენის აგების დროს მაღალი საწარმოო წარმატებების მიღწევისათვის მიენიჭოთ **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეთ **ლენინის** ორდენი და ოქროს medali **„ნამგალი და ჩაქუ“**:

1. დიმიტრი კონსტანტინეს ძე **მასკოს** — გვირაბგამყვანთა ბრიგადირს.
2. ივანე ნიკოლოზის ძე **მიშჩენკოს** — გვირაბგამყვანთა ბრიგადირს.
3. სიმონ ნიკოლოზის ძე **ხარჩენკოს** — კალატოზთა ბრიგადირს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 11 იანვარი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

27 სტალინოს ოლქის ტრესტ „ძერჟინსკქვანახშირის“ ძერჟინსკის სახელობის შახტის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სტალინოს ოლქის ტრესტ „ძერჟინსკქვანახშირის“ ძერჟინსკის სახელობის შახტის ასი წლისთავთან დაკავშირებით და სახალხო მეურნეობის კოქსვადი ნახშირით უზრუნველყოფაში შახტის მუშების, საინჟინერო-ტექნიკური მუშა-

კებისა და მოსამსახურეების დიდი დამსახურების აღსანიშნავად **ძერჟინსკის სახელობის შახტი** დაჯილდოებულ იქნას **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 13 იანვარი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

28 ს. თ. რიხტერისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა ხელოვნების დარგში თვალსაჩინო დამსახურებისა და შემსრულებლობითი ოსტატობისათვის მიენიჭოს **სსრ კავშირის სახალხო არტისტის** საპატიო წოდება მოსკოვის სახელმწიფო ფილარმონიის არტისტს, პიანისტ სვიატოსლავ თეოფილეს ძე **რიხტერს.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 13 იანვარი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

კიევის მეტროპოლიტენის პირველი რიგის მშენებლობის წარმატებით დამთავრებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1961 წლის 11 იანვრის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს „კიევმეტრომშენის“ მშენებლობის სამმართველოსა და სხვა ორგანიზაციების 297 მუშა, საინჟინერო-ტექნიკური მუშაკი და მოსამსახურე.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან: გვირაბგამყვანთა ბრიგადირი ი. ა. ანგოლენკო, უბნის უფროსი ა. ა. ბულგაკოვი, ელექტროსამექანიკო სამონტაჟო სამუშაოების კონტორის უფროსი ნ. ა. ვაკულენკო, გვირაბგამყვანთა ბრიგადირები პ. ზ. კარდოპოლოვი, ნ. ს. კიჩკინი, პ. დ. კუზნეკოვი, მამხოლოებელთა ბრიგადირი ს. კ. ლიხიცკი, მჭედელი ვ. ვ. ნაგულა, ელექტროშემდუღებელი ტ. ს. ონისკო, № 2 მშენებლობის უფროსი ნ. ვ. ტიტოვი, მუშათა ბრიგადირი კ. ს. ფილიპოვა, № 1 მშენებლობის უფროსი ნ. ა. ჩერნიშევი და გვირაბგამყვანთა ბრიგადირი ა. ტ. შერსტიუკი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებული არიან: მამხოლოებელთა ბრიგადირი ვ. ე. ანდრეიჩუკი, მეარმატურე პ. ი. აპრიატკინი, შოფერი ნ. გ. ბაბენკო, საწარმოო განყოფილების უფროსი ვ. მ. ბალიცკი, № 1 მშენებლობის მთავარი მექანიკოსი გ. ს. ბებეშკო, მექანიკური ქარხნის უბნის უფროსი

ე. ი. გრიცენიუკი, № 4 მშენებლობის უფროსი გ. ი. დემიდენკო, № 3 მშენებლობის უფროსი ვ. ი. ეგოროვი, გვირაბგამყვანთა ბრიგადირი გ. ო. ეჟაკოვი, „მეტროგიპროტრანსის“ კიევის ფილიალის მთავარი ინჟინერი ი. ფ. ჟუკოვი, გვირაბგამყვანთა ბრიგადირები ვ. ა. ზაკლიუკა, გ. რ. ზამკოვოი, № 3 მშენებლობის მთავარი ინჟინერი ნ. გ. ივანჩენკო, მთავარგვირაბმეტრომშენის № 103 კოლონის უფროსი პ. ვ. კალინინი, „მეტროგიპროტრანსის“ კიევის ფილიალის უფროსი გ. მ. კოლცოვი, მებათქაშეთა ბრიგადირი ვ. ლ. კრავეცი, მთავარი მექანიკოსი ს. გ. კუბკინი, გვირაბგამყვანი ბ. ფ. ლევენჩუკი, სამუშაოთა უფროსი მწარმოებელი ტ. ტ. ლისი, ზეინკალ-მემონტაჟეთა ბრიგადირი ვ. ტ. მატვიენკო, წარმოებრივ საწარმოთა კომბინატის ოპერატორთა ბრიგადირი მ. ს. ნუჟნაია, გეოდეზიურ-მარკშეიდერული განყოფილების უფროსი ვ. დ. ონარი, გვირაბგამყვანთა ბრიგადირი ა. მ. პანჩენკოვი, მექანიკური ქარხნის მთავარი ინჟინერი ვ. ი. პრიმაკი, მუდმივ დანადგართა განყოფილების უფროსი მ. ა. პიქოვი, შახტის ამწეს მემანქანე ა. ი. როკოტოვა, უბნის უფროსი მ. პ. სავჩენკო, ტექნიკური განყოფილების უფროსი კ. ი. საპუნენკო, უბნის მექანიკოსი ა. გ. სიკორსკი, გვირაბგამყვანთა ბრიგადირი ნ. ა. ტიმოფეევი, მექანიკური ქარხნის ზეინკალთა ბრიგადირი ს. დ. ფურმანოვი, სამმართველოს მთავარი ინჟინერი ა. ლ. ხოლოდნი, უბნის უფროსი ვ. ე. ჩარსკი, მთავარგვირაბმეტრომშენის მთავარი ინჟინერი პ. ა. ჩასოვიტინი, № 1 მშენებლობის მთავარი ინჟინერი კ. პ. ჩერნენკო, ავტოამწეს მემანქანე ვ. ი. შეველა, ზეინკალმემონტაჟეთა ბრიგადირი ნ. კ. შიმანსკი და ხუროთა ბრიგადირი პ. დ. შმატკო.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოებულია 66 კაცი, მედლით **„შრომითი მამაცობისათვის“** — 102, მედლით **„შრომითი წარჩინებისათვის“** — 78 კაცი.

* * *

სტალინოს ოლქის ტრესტ „ძერჟინსკქვანახშირის“ ძერჟინსკის სახელობის შახტის ასი წლისთავთან დაკავშირებით და საწარმოო საქმიანობაში წარმატებების მიღწევისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1961 წლის 13 იანვრის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა სტალინოს ოლქის ტრესტ „ძერჟინსკქვანახშირის“ ძერჟინსკის სახელობის შახტის 50 მუშა, საინჟინერო-ტექნიკური მუშაკი და მოსამსახურე.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან: სამთო ოსტატი ვ. ი. კულეშოვი, მნგრეველი ა. კ. პავლოვსკი და უკრ-I კომბაინის მემანქანე, საწმენდი სანგრევის მუშათა ბრიგადის ბრიგადირი ვ. პ. იანდოვიჩი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებული არიან: გვირაბგამყვანი ნ. მ. გნოევოი, შახტის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე ს. ე. გრაჩოვი, მნგრეველი ბ. კ. დერმანეცი, ამწეს მემანქანე ა. ი. ევტუშენკო, მნგრეველთა ბრიგადის ბრიგადირი ი. მ. კრასნიკოვი, დინამიტის საწყობის გამცემი ი. ს. ტერიაევი და უბნის უფროსი პ. ზ. ცარიცანსკი.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოებულია 15 კაცი, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 15 და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 10 კაცი.

ცნობა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში დეპუტატების არჩევნების შესახებ

1960 წლის 25 დეკემბერს შედგა არჩევნები კავშირის საბჭოსი ჯამბულის № 633 საარჩევნო ოლქში და ეროვნებათა საბჭოსი ყარაგანდის № 105 სასოფლო საარჩევნო ოლქში ყაზახეთის სს რესპუბლიკიდან.

კავშირის საბჭოს დეპუტატად ჯამბულის № 633 საარჩევნო ოლქში არჩეულია ამხ. ისაგალი **შარიფოვი**, ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

ეროვნებათა საბჭოს დეპუტატად ყარაგანდის № 105 სასოფლო საარჩევნო ოლქში არჩეულია ამხ. რაჰიმ ბაიგალის ძე **ბაიგალიევი**, ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ყაზახეთის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე.

საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

29 ქალაქ თბილისის ახალი საზღვრების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარდგინების შესაბამისად, ქალაქ თბილისის რეკონსტრუქციისა და განვითარების გენერალური გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად ქალაქ თბილისის ტერიტორია განისაზღვროს 26070,0 ჰექტარით, მათ შორის ქალაქის მიწები — 14250,0 ჰექტარი და სამგორის რაიონის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მიწათმოსარგებლეთა მიწები — 11.820 ჰექტარი.

2. დადგინდეს ქალაქ თბილისის ახალი საზღვრები შემდეგი აღწერილობით:

ჩრდილოეთით ქალაქ თბილისის საზღვრის ხაზი იწყება „ზაჰესის“ ქვემოთ მდინარე მტკვარზე მდებარე რკინიგზის ხიდიდან, მიემართება ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ და მიდის დაბა ავჭალის ჩრდილოეთით, აქ უხვევს სამხრეთისაკენ და დაბა ავჭალის აღმოსავლეთ საზღვარზე გავლით მიდის მდინარე გლდა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამდე, რომელზე გავლითაც მიემართება გლდანის გზატკეცილის გადაკვეთამდე, აქედან მიდის სოფელ გლდანის სამხრეთ-დასავლეთ კიდეზე და გადის სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ ხევძმარის ჩრდილო ტოტამდე, ჩადის ამ ხევით მის განშტოებამდე და გადადის სამხრეთ ტოტში, ადის მასზე გავლით ზევით, შემდეგ მისდევს თბილისის წყალსაცავის (თბილისის ზღვის) ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაპირს, მისგან საშუალოდ 300 მეტრის მანძილის დაშორებით, გადაკვეთს ფორაქაანთხევს და მიდის პირდაპირი ხაზით, შემდეგ შემოუვლის სამგორის საბჭოთა მეურნეობას და კვეთს კახეთის რკინიგზას და კახეთის გზატკეცილს, გაჰყვება ქვევით მდინარე ლოჭინს, გადაკვეთს თბილისი — ბაქოს რკინიგზას, გადის მდინარე მტკვართან, გადადის სწორი ხაზით მტკვარზე, შემოუვლის სამხრეთიდან სოფელ სოღანლუღს და მიდის თბილისი—ერევნის რკინიგზამდე, აქედან მიდის ჩრდილოეთისაკენ ლიანდაგის გაყოლებით უსახელო ხევამდე, შემდეგ ამ ხევის მარცხენა ნაპირის გაყოლებით კვეთს მარნეულის გზატკეცილს, აქედან უხვევს ჩრდილოეთისაკენ თელეთის ქედამდე, მიემართება ქედით დასავლეთისაკენ, შემდეგ მიდის ჩრდილო-დასავლეთისაკენ, გაივლის სოფელ შინდისის აღმოსავლეთით, შემდეგ სოფელ ოქროყანას სამხრეთ-დასავლეთით, გადაკვეთს კოჯრის გზატკეცილს, მიჰყვება მას სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის (ფუნიკულორის) გზის განშტოებამდე, გადაკვეთს ამ გზას, გაჰყვება მას და მიემართება დასავლეთით, მიდის წყნეთის გზატკეცილამდე, აქედან უხვევს დასავლეთისაკენ, შემოუვლის სოფელ ბაგებს და ჩადის მდინარე ვერამდე, შემდეგ აჰყვება მას, შემოუვლის ჩრდილო-დასავლეთით საბურთალოს ველს და მიდის წყაროამდე, უხვევს ჩრდილოეთისაკენ, გადაკვეთს სოფელ ლისის გზას, გაივლის 500 მეტრის დაშორებით ლისის ტბიდან, ჩადის მდინარე დიღმის წყლამდე, აჰყვება მას ზევით, უვლის სოფელ დიღომს დასავლეთიდან, გადის დიღმის ველის ამაღლებულ ნაწილის კალთებზე, მიემართება საქართველოს სამხედრო გზისაკენ და მისგან 200 მეტრის დაშორებით მიდის მის გასწვრივ რკინიგზის მაგისტრალამდე, შემდეგ რკინიგზის ხიდზე გავლით მიდის ქალაქის საზღვრის საწყის წერტილთან.

3. დადგინდეს, რომ ქალაქის საზღვრებში მოქცეული მიწები წარმოადგენს ქალაქის მიწის ფონდს. ამ ფონდში შემავალი კოლმეურნეობების მიწები რჩება კოლმეურნეობების სარგებლობაში და მათი გაცემა ქალაქის განვითარებასთან დაკავშირებით ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უნდა მოხდეს სათანადო მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

4. დასახლებული პუნქტები — დაბა ავჭალა და სოფლები: ბაგები, ვაშლიჯვარა, ოქროყანა, დიღომი და სოღანლუღი, რომლებიც ტერიტორიულად შედიან ქალაქის საზღვრებში, დატოვებულ იქნას ქალაქ თბილისის სამგორის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1960 წლის 30 დეკემბერი.